ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4378134

ნომერი: AR1659038

თარიღი : 04.02.2019

გაცემის თარიღი : 15.02.2019

გაცნობის თარიღი : 16.02.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დ.გურამიშვილი , N 84; ქალაქი თბილისი , თემქა-ნაძალადევი , (ნაკვ.09/002); ქალაქი თბილისი , თემქა-ნაძალადევი , (ნაკვ.09/002);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ოთარ გოგიშვილი პ/ნ 37001019012
- სამტრედია ს. დაფნარი 1–ლი ქ. N 23

ორგანიზაცია:
- შპს მშენებელი 2014 კოდი: 438726684

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
საპროექტო მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა, რომლისთვისაც არ არის დადგენილი სამშენებლოდ განვითარების კონკრეტული პარამეტრები. აქედან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის სამშენებლოდ განვითარება უნდა მოხდეს ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ “ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით მუხლი 19–ის (სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტების დადგენა ჩამოყალიბებული განაშენიანების პირობებში) მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, სატრანსპორტო ზონა (ტზ–3) - ში, რკინიგზის ჩიხის განთავსების საკითხი საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და განაცხადი ატვირთოთ ოფიციალურ პორტალზე - Urban.tbilisi.gov.ge, შესაბამის ნომენკლატურაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.